„გვხსოვდეს ვიცი გორიცხა ხარ!“

გვარი და ტრადიცია

2 (29)

თებერვალი 2016 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ და
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

ლევან ფრუიძე – 83



ლევან ფრუიძეს

ლ–ამაზად და ღირსეულად
ზიდე შენი მძიმე ჯვარი.
ე–რისა და მამულისთვის
იყავ უქარქაშო ხმალი.
ვ–ალს იხდიდით ღირსეულად,
არ ყოფილხართ ცრუ და მხდალი.
ა–რავისთვის იშურებდით გარჯას,
იყავ რაჭის თვალი.
ნ–იჭს და უნარს ერს ახმარდით,
არ გქონია არვის ვალი,
ს–ამშობლოსთვის ლოცულობდი
მუდამ მისთვის გულდამწვარი.

ნარგიზ ტურძელაძე

ცნობილ მეცნიერს, ისტორიკოს – ეთნოგრაფს, აკადემიურ დოქტორს ბატონ ლევან ფრუიძეს, დაბადებიდან 83 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა 1933 წლის 24 თებერვალს ამბროლაურის რაიონის სოფელ ჟოშხაში, ცნობილი პედაგოგის, 40 წლის მანძილზე ჭრებალოს საშუალო სკოლის უცვლელი დირექტორის, აკაკი ფრუიძის ოჯახში. მან 1950 წელს დაამთავრა ჭრებალოს საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს წარჩინებით – გორის სპედაგოგიური ინსტიტუტი. 1968 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წლიდან აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ–თანამშრომელია.

ლევან ფრუიძე წარმატებით მუშაობს ეთნოგრაფიასა და ეროვნული ტრადიციების შესწავლის საქმეში. არის რამდენიმე მონოგრაფიის, წიგნის და ბროშურის ავტორი. გამოქვეყნებული აქვს 500–ზე მეტი პუბლიკაცია. მის მიერ ისტორიულ–ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დაწერილ ვრცელ გამოკვლევას „მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში“, რომელიც 1974 წელს სქელტანიან მონოგრაფიად გამოიცა, საყოველთაო მოწონება და აღიარება ხვდა წილად. მისი ხუთტომეული „რაჭის სოფელი“, მონოგრაფიები „აგრარული რეფორმის ქართული გზა“, „ლეჩხუმი“, „ქართული სტუმარ–მასპინძლობა და სუფრის კულტურა“, „სამგლოვიარო წეს–ჩვეულებანი საქართველოში“ დღემდე გამოქვეყნებას ელოდება.

ბატონმა ლევანმა დიდი ამაგი დასდო 1937 წელს რეპრესირებული მკვლევარ–ისტორიკოსის, გიორგი ბოჭორიძის ნაშრომთა თავმოყრას, დამუშავებას და ტომებად გამოცემას, ლევან ფრუიძის მიერ მოძიებული და შედგენილი გიორგი ბოჭორიძის მონოგრაფია „რაჭა–ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“ საუკეთესო მეცნიერული ნაშრომია.

1987 წელს ლევან ფრუიძემ დაამუშავა, შესავალი წერილი დაურთო და გამოსცა პროფ. სერგი მაკალათიას ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ნაშრომი „მთის რაჭა“.

2004 წელს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა ლევან ფრუიძის წიგნი „პატრიარქის მოგზაურობა რაჭაში“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II–ს დაბადებიდან 70 წლისთავს და მისი აღსაყდრების 25 წლისთავს.

2012 წლის დასაწყისში ბატონ ლევან ფრუიძის დიდი ძალისხმევით გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეცნიერებათა ჯგუფის მიერ მომზადებული მონოგრაფია „რაჭა–წარსული, აწმყო, მომავალი“. ამ მონოგრაფიის საკმაოდ ვრცელი ნაწილი ბატონ ლევანის დაწერილია, გარდა ამისა, იგი მრავალი წიგნის რეცენზენტი და რედაქტორია.

2014 წელს ლევან ფრუიძემ გამოსცა წიგნი „ენდემური ხორბლეულის ჯიშები და პარკოსანი კულტურები“, გარდა ამისა, მან სამუდამო გაქროობას გადაარჩინა ეს კულტურები და პატრიარქის დავალებით შავნაბადას მონასტერი გახადა ამ კულტურების დათესვა–განახლების საბაზო მეურნეობა.

2015 წელს გამოვიდა ლევან ფრუიძის უზარმაზარი ნაშრომის, „საქართველოს მევენახეობა–მეღვინეობის“ I ტომი. ამ წიგნის II ტომი უკვე ჩაშვებულია გამოსაცემად, ხოლო Ш ტომი მომზადების სტადიაშია.

2016 წელს ლევან ფრუიძე სამ სხვა ავტორთან ერთად გამოსცემს წიგნს „საქართველოს აგროკულტურები“, რომელიც შედის პატრიარქის ოქროს ფონდში. წელსვე საქართველოს ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკა ლევან ფრუიძის, როგორც თავისი მკითხველთა საბჭოს თავმჯდომარის, პატივისცემის ნიშნად გამოსცემს მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიას, სადაც მისი წიგნებისა და ნაშრომების გარდა, მოთავსებული იქნება ყველა მისი გამოქვეყნებული პუბლიკაცია.

გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, ბატონი ლევან ფრუიძე აქტიურადაა ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. იგი არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად (1994–1998 წ. წ.) და აგრარული კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. მისი, როგორც პრაქტიკოსი მეცნიერის, ძალისხმევით აგრარულ კომისიაში ჩამოყალიბდა კანონშემოქმედებითი ჯგუფი და სამეცნიერო–საკონსულტაციო საბჭო, სადაც ცნობილმა მეცნიერებმა მოიყარეს თავი და მომზადდა საადგილმამულო, თვითმმართველობის და ა. შ. კანონპროექტები.

ლევან ფრუიძე რაჭის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიციის დამაარსებელი და ხელმძღვანელია. მას მონოგრაფიის დონეზე აქვს შესწავლილი საქართველოს ამ უძველესი და უმშვენიერესი კუთხის ყველა სოფელი. იგი მხარში ედგა აკად. გიორგი ჩიტაიას საქართველოს ღია ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებაში. იგი წლების მანძილზე აქტიურად მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ საქართველო მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიაში. არის რაჭა–ლეჩხუმის ისტორიულ–ეთნოგრაფიული და ფოლკლორული შესწავლის მეცნიერ–ხელმძღვანელი.

ბატონმა ლევანმა ქართული ერის გამთლიანობის საიმედო გზა მონახა და ააღორძინა. ესაა ქართული გვარიშვილობის მოძრაობა. ამ დიდ საქმეში მან საქართველოს პატრიარქის ლოცვა–კურთხევა მიიღო, რაც წარმატებული საქმიანობის მტკიცე გარანტიაა. ბატონი ლევან ფრუიძე ჩვენი მშობლიური კუთხის რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირის დამფუძნებელი და მისი საპატიო თავმჯდომარეა. მისი ძალისხმევით 2012 წლის ბოლოს დაფუძნდა სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდი. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ბატონ ლევან ფრუიძეს თავისმა შეუპოვრობამ, პირშიმთქმელობამ და მიუკერძოებლობამ ბევრი ოპონენტი გაუჩინა, მაგრამ მან, ალბათ, ყველაზე უკეთ იცის ვაჟა–ფშაველას სიბრძნე: „ცუდსა რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“.

ბედნიერებაა, კაცი თავს ლევან ფრუიძის უმცროს მეგობრად თვლიდე, მაგრამ დიდი ბედნიერებაა, როცა ბატონი ლევანი მის ირგვლივ მყოფ ადამიანთაგან თვითონ ამოირჩევს მეგობარს.

ჩვენ, მისი თანამოაზრეები, მივესალმებით ბატონ ლევანს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, წინსვლასა და გამარჯვებას თავის ძვირფას მეუღლესთან, შესანიშნავ რაჭველ ქალბატონ ნანასთან, შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად. ვუსურვებთ რომ უმცროს ლევან ფრუიძეს ისეთივე სიყვარული ჩანერგოდეს გულში მშობლიური რაჭისადმი, როგორც მის ბაბუას, უფროს ლევან ფრუიძეს აქვს, რაჭაზე შეყვარებულ და მზრუნველ ადამიანს.

ოთარ კერვალიშვილი,
რაჭის გადარჩენისა და
განვითარების კავშირის
თანათავმჯდომარე, საინჟინრო
აკადემიის წევრ–კორესპონდენტი

საინფორმაციო ქრონიკა

2016 წლის 2 თებერვალს გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის აქტივის შეკრება.

წინა შეკრებიდან განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ნადირაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ: რ. ბარამიძე, თ. ქურციკიძე, ა. კობაიძე, მ. კიტოვანი, თ. ლურსმანაშვილი, ბ. კოჭლამაზაშვილი, ხ. სხირტლაძე, ლ. ფრუიძე.

გამომსვლელებმა აღნიშნეს საბჭოს წევრებისა და გვარების წინამძღოლების მუშაობის, დარბაზის სხდომებზე დასწრების დაბალი აქტივობა, საგვარეულო კავშირების შექმნის აუცილებლობა და სხვა.

კობაიძემ გამოთქვა აზრი, რომ შექმნილიყო ჯგუფი ამ საკითხების შესასწავლად.

შეიქმნა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ხ. სხირტლაძე, რ. ბარამიძე, თ. მაისურაძე, ა. კობაიძე, ლ. კოშაძე, მ. კიტოვანი.

10 თებერვალს გაიმართა შექმნილი ჯგუფის შეკრება. შეკრებამ და მსჯელობამ ვერ გამოიღო ნაყოფი იმის გამო, რომ ბევრი ჯგუფის წევრი გაუთვითცნობიერებული აღმოჩნდა სტრუქტურულ და ორგანიზაციულ საკითხებში. ამიტომ გადაწყდა საკითხები დასმულიყო საბჭოს სხდომაზე.

***

17 თებერვალს გაიმართა საბჭოს სხდომა. სხდომაზე კვლავ გამომჟღავნდა ზოგიერთი წევრის გაუთვითცნობიერება. კერძოდ ა. კობაიძემ, ვერ გაერკვა რა ორგანიზაციულ საკითხებში, პრეტენზიები და შეურაცმყოფელი გამოხტომები დაუშვა საბჭოს ხელმძღვანელობის მიმართ, რამაც გამოიწვია საერთო აღშფოთება. შეკრება გადაიზარდა არეულობაში და ერთმანეთის შეურაცხყოფაში. ზოგიერთმა საბჭოს წევრმა დააყენა საკითხი მ. ანდღულაძის და ა. კობაიძის საბჭოს წევრობიდან გარიცხვის შესახებ. საბჭოს წევრებმა თავი შეიკავეს ამჯერად ამგვარი რადიკალური ზომების მიღებისაგან, საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე.

***

2016 წლის 27 თებერვალს სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს წევრების ერთი ჯგუფი ბატონ ლევან ფრუიძესთან ერთად ესტუმრა მოხუცთა პანსიონს ,,სიკეთის ლამპარს“. მოხუცებს გადაეცათ ტკბილეული, მათ მიმართ ყურადღების გამოჩენისთვის პანსიონის მკვიდრებმა უდიდესი მადლიერება გამოხატეს. შემდეგ გაიმართა ვახშამი ბატონ ლევანის დაბადების დღის აღსანიშნავად. ეს დღე დაუვიწყარი იქნება ბატონ ლევანისათვის.

პანსიონი მდებარეობს ჯავის V შესახვევის N17-ში. ვფიქრობთ ხშირი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ გვარიშვილებმა მოხუცების მიმართ. აღსანიშნავია, რომ პანსიონს ხელმძღვანელობს ბრეგვაძეთა გვარის წინამძღოლი ბატონი ირაკლი ბრეგვაძე.

კალისტრატე ცინცაძე – 150

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი (1932-1953წწ). დაიბადა 1866 წელს სოფ. ტობანიერში (ვანის რაიონი).. 1882 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1888 წელს პადაგოგიური საბჭო სწავლის გასაგრძელებლად მას გზავნის კიევის სასულიერო სემინარიაში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა კლასიკური ენები, სლავური და სხვა დისციპლინები. იგი ენერგიულად ჩაერთო მეცნიერულ მუშაობაში. ნაშრომისათვის ,,იბერიის ეკლესია სასანიდების პერიოდში“ მას მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი; 1892 წელს დაბრუნდა საქართველოში და განაგებდა დიდუბის ღვთისმშობლის, ხოლო 1903 წლიდან _ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის სამრევლოებს. პარალელურად განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას, ბეჭდავდა წერილებს და სტატიებს ,,ივერიაში“, მისდევდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც: ასწავლიდა საღვთო რჯულს თბილისის სათავადაზნაურო და ვაჟთა პირველ გიმნაზიებში, ლევანდოვსკის კერძო გიმნაზიასა და თბილისის მასწავლებელ ქალთა სკოლაში. თანამშრომლობდა სასულიერო სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში, იღვწოდა განათლების კერების დაარსება-განმტკიცებისათვის. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ,,სამუსიკო სკოლის“ დაარსება. 1894 წელს ჟურნალ ,,Пастырь“-ში (მწყემსი) მან გამოაქვეყნა წერილი ,,Автокефалия церкви грузинской“.

1925 წელს იგი აკურთხეს ეპისკოპოსად, 1932 წლის 22 ივნისს კი _ კათოლიკოს-პატრიარქად. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პრესის საშუალებითა თუ ქადაგებით იგი ხალხს უნერგავდა გამარჯვების რწმენას, რისთვისაც მთავრობის მადლობა დაიმსახურა. კალისტრატე ცინცაძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ ისტორიულ ძეგლებსა და სიძველეთსაცავებს. მან დაგვიტოვა დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელშიც საპატიო ადგილი უკავია არქეოლოგიური და ფილოლოგიური ხასიათის ნაშრომებს. რუსთველოლოგიური შრომიდან გამოქვეყნებულია ,,ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“ (ეკაშვილის ფსევდონიმით) .

→

ქეთევან ნუცუბიძე

კალისტრატე

(ნაწყვეტი წიგნიდან „შალვა ნუცუბიძე“)

კალისტრატე ცინცაძე ის ნათელი პიროვნება და მართლაც ის უწმინდესობა იყო, რომლითაც ყოველთვის იამაყებს როგორც ეკლესია, ისე საქართველოს ისტორია. მისი შედგენილი პეტიციებით, მისი მცდელობით რევოლუციის დღეებში საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა თავისი დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია, და ოცი წლის მანძილზე უკვე საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი დაუღალავად, ერთგულად ემსახურებოდა თავის ქვეყანას.

Патриарх из патриархов – ასე მიმართავდა სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი კალისტრატეს და ამასვე იმეორებდნენ კონსტანტინეპოლისა და პალესტინის პატრიარქები, ასე იხსენიებდნენ მას მსოფლიო შეკრებილობებზე, სადაც დიდი პატივით სარგებლობდა.

ჩვენი უბედურების პირველსავე დღეებში გულმა მისკენ გამიწია, თითქოს სასაყვედუროდ, მაგრამ შეხვედრისთანავე იგი მიხვდა ჩემს გულისნადებს და თქვა: ღმერთმა უკეთ იცის, რა არის სამართალი... ახლა კი შენ შავები უნდა გაიხადო, სხვა შვილებიც ხომ გყავს, რა დააშავეს მათ, რომ მგლოვიარეს გიყურონ. წარმოიდგინე, მე შალვა უფრო მებრალება. ქალი ამტანია, გამძლეა და შალიკოს უფრო ესაჭიროება გამხნევება და მასაც დარდი შეუმსუბუქდება.

ესა თქვა და ჩვენთან სახლში დარეკა, მოეტანათ ჩემთვის ჩვეულებრივი ტანსაცმელი.

მოვიდა შალვაც. შალვა მოწაფეობის შემდეგ ეკლესიაში არც შესულიყო და ახლა საოცარი მღელვარებით შეეგება კალისტრატეს.

პატრიარქი თეთრი კაბით, აქლემის ყელის მოკლე წამოსაცმელით – ასეთ ხატად დარჩა შალვას მეხსიერებაში იგი. თეთრად გადაპენტილი, სისპეტაკით გაშუქებული სახე, შეფაკლული ღაწვები ოთხმოცი წლის მხცოვანს მიმზიდველობით ამკობდა.

მათი შეხვედრაც საინტერესო აღმოჩნდა. ღრმად განათლებული პიროვნება დიდად იყო დაინტერესებული „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლგაგების საკითხებით და თავისი ორიგინალური ნაშრომებიც ჰქონდა, რომელთაც ხელს აწერდა ეკაშვილის ფსევდონიმით, დედის პატივსაცემად. შალვა ბევრს ეცადა რუსთაველის საიუბილეოდ მათ გამოქვეყნებას, მაგრამ აბა რას გახდებოდა, როცა თავად აღმოჩნდა მაყურებლის როლში საზეიმო სხდომაზე, მაშინ, როდესაც თავად უნდა ყოფილიყო მთავარი მომხსენებელი.

კალისტრატეს ყველა თარგმანი, და განსაკუთრებით შალვასი, საგულდაგულოდ შეესწავლა და კატეგორიულად მოსთხოვა დაებრუნებინა ღმერთისათვის ყველგან თავისი ადგილი.

– ძალიან თავისუფლად სთარგმნი, შალიკო, ღმერთის ცნებას. – ამბობდა კალისტრატე, – ზოგან ან გულისხმობს მხოლოდ, ან სავსებით გამოტოვებულია, ან იხმარ იქ, სადაც რუსთაველს სულაც არ უფიქრია. ღმერთის ცნებას სცვლი სიტყვებით: судьбой, роком, небом или небосклоном, небесными силами или небес потроном, всевышним или вышним, создателем, творцом. ერთგან მნათობიც კი გამოგრჩენია – შვიდის ნაცვლად მხოლოდ ექვსი გითარგმნია.

შალვა ნუცუბიძე

შალვა ნუცუბიძე, ეს შეუპოვარი ადამიანი, თავდახრილი იდგა მის წინაშე და მოწაფურის მოკრძალებით უსმენდა, ყველა მის შენიშვნას ღებულობდა და შინ მოსვლისთანავე მიუჯდა მაგიდას, თარგმანი კალისტრატეს შენიშვნების მიხედვით ჩაასწორა, ღმერთს ყველგან თავის ადგილი დაუბრუნა და ლექსიც უკეთესად გაიმართა, სიახლე შეემატა ახალ გამოცემას.

მათი მეორე შეხვედრისას საუბარი ეხებოდა საეკლესიო საკითხებსაც: სამსახურის გამარტივების აუცილებლობას, რომ იგი უნდა პასუხობდეს დღევანდელი დღის მაჯისცემას, რადგან დღეს აღარ შეუძლია ადამიანს ოთხი და ხუთი საათი იდგეს წირვაზე; ამასთან წირვა რომ გასაგები და სასარგებლო იყოს, უნდა მიმდინარეობდეს ახალ ქართულ, თანამედროვე ენაზე, რომ საქართველოს ეკლესია თავის ცხოვრებას ახალი სტილით უნდა წარმართავდეს. როდესაც მთელი მოწინავე ქვეყნები ახალ წელიწადს ზეიმობენ, ჩვენი ეკლესია შობის მძიმე მარხვაშია – ეს ყველაფერი კი დაუძლეველ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, დოგმატიზმი არ იძლეოდა გასაქანს.

ერთ გაზაფხულზე, როდესაც კალისტრატეს, ჩვეულებისამებრ, სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი ეწვია, თქვა:

– აბა, რით მოვიწონებ თავს ალექსისთან თუ არა თქვენი ხენდროთიო და გამოგვიგზავნა ქალი კალათით. მოსულმა კალათასთან ერთად სათუთად შეხვეული, ნიუ–იორკში სულ ახალი გამოცემული ბიბლია მოიტანა რუსულ ენაზე. ბიბლიას წარწერა ამშვენებდა:

„ორთა ხუცესთა ნაშიერსა და
სიბრძნის მოყვარესა,
ჯურღმულსა ამას სიბრძნისასა
მიუძღვნის
ხუცესთა უხუცესი„
1951 წელი, V. 25.

შალვამ საჩუქარი დიდი სიხარულით მიიღო და თქვა:

– აბა, ვინ გაარკვევს ისტორიაში, ვინ ვის უძღვნა ეს წიგნი?!

ხენდროთი გავსებული კალათა დაიცალა, დოქით ღვინო დაილია, „ბიბლია“ კი სულის უშრეტ საზრდოდ დარჩა.

ჩვენთან ერთად კალისტრატეს მუდმივი სტუმრები იყვნენ: თედო სახოკია, რომელიც თავის გაცვეთილ შალის ხელთათმანებით, გაცვეთილ საყელოთი, მაგრამ ქათქათა სისუფთავით და არისტოკრატულ მანერებით თავის დიდებულებას ამჟღავნებდა, ირონდიონ სონღულაშვილი – მუდამ მხნე და იუმორით გაბრწყინებული, თავის სიძველეთა და სიახლის შეხამებით ისე ერწყმოდა ატმოსფეროს, თითქოს უმისობა არ იქნებოდა. შემოგვესწრებოდა სოსო გრიშაშვილიც. კალისტრატეს უყვარდა მისი პოეზია, მაგრამ განსაკუთრებით „სონეტი სიონს“, რომელსაც ხშირად ათქმევინებდა.

კალისტრატეს და შალვასაც საუკეთესოდ მიაჩნდათ „თამარიანის“ თარგმანი, სადაც რუსულ ენაში მოძებნილია ქართულის ტოლფასოვანი ექვივალენტები და ამავე დროს რუსული ლექსი გამართულია ქართული რითმით „არი“. კალისტრატე ქართულად იტყოდა და შალვა კი რუსულად:

1.თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა – ნარნარი, პირმცინარი.
2.მზე – მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი.
3. მისთვის ქნარი რა არს? – ქნარი
არსით მთქნარი, უჩინარი.
4.ვარდ–შამბნარი, შამბ–მაღნარი,
ღაწვ–მყაზარი, შუქ–მფინარი.

Лик Тамары – солнцу пары,
Отблеск ярый, голос – чпры,
Видят твари стаи чинары,
Злата лары красят лавры.
Где же чары равно яры?
Не из хмары льют литавры
Нам удары злобной кары –
То – удары звуков кнари
В честь Тамары.

მაგრამ კიდევ უფრო გასაოცარი იყო „აბდულმესიანის“ იმ ერთი სტროფის გაშიფვრა და თარგმნა, რომლის წაკითხვაზე ნიკო მარს უარი განეცხადებინა – შეუძლებელია ამ სტროფში გარკვევაო.

შალვამ იგი გახსნა, ამოიკითხა, თარგმნა და მწერალთა კავშირში ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა, შთაბეჭდილება დიდი იყო, ყველა აღფრთოვანებას გამოსთქვამდა.

→

← აი, ეს სტროფიც:

ბრძანონ სამალად, ართუ სამალად,
ელია მოსით, ეს რომ არამით;
ელი ამ ოსით ეს რომ არამით?
ქველად ჭერითა,
რისთვით ჭერითა
ელი ამ ოსით ეს რომ არა მით
მას არა რითა, მასა რა რითა
ელია მოსით ეს რომ არამით?!

აქ ოთხჯერ განმეორებული ერთი და იგივე „ელი ამ ოსით ეს რომ არამით“ აბნევდა ყველას, აზრს ვერ ხედავდნენ მასში, ახლა კი მისი აზრი რუსულ თარგმანში ნათლადაა გამჟღავნებული:

Молвят пусть прямо, хот и упрямо,
Что лишь царица свет деяния,
Род же есея иль Мойсея
Вкупе с Месропом свет деяния.
Власти ты твердость. Геевная гордость,
Ждёщь ли от Оса злодяния?!
Нет, невозможно, чтобы он ложно
Принял Востока одеяния!

ჩვენ უშუალო და აქტიური მონაწილენი ვხდებოდით კალისტრატეს შინაურ ცხოვრებისა – შალვა მოციქულებდა შერისხულ სასულიერო პირის პატიებისათვის, ყველა ღონეს ხმარობდა მასთან რაიონიდან ჩამოსული ძმისწულის ქალაქში გასაწერად და თავად ისე გახარებული დარჩა კალისტრატეს ძმისწულის, ანთისას, საბინაო დავთარში ჩაწერით, რომ ლექსიც კი უძღვნა მას, სამაგიეროდ, საგანგებო ხაჭაპურებითაც ვივახშმეთ იმ საღამოს.

პროტოდიაკონი ამბროსი თავისი ხასიათის წყალობით ხშირად შეირისხებოდა ხოლმე და ერთხელ შალვას, რომ ვეღარ გაუბედა ამბროსიმ შუამდგომლობის თხოვნა, მე მომმართა, მეც ის იყო დავაპირე მასზე სიტყვის ჩამგდება, მაგრამ კალისტრატემ შემაჩერა: „ამბროსიზე არაფერი მითხრა და სხვა რაც გინდაო“. მე სხვა არაფერ მინდოდა და გამობრუნება ვარჩიე, კალისტრატემ შემაჩერა: „ამბროსის უთხარი ისე, როგორც იყო – არც მომისმინა–თქო. ისე შენ იცოდე, რომ ვაპატიებ, როგორც კი მოინანიებსო“.

კალისტრატე ხშირად აღნიშნავდა, რომ მას ახალგაზრდობიდანვე იზიდავდა პუბლიცისტიკა და არ ფიქრობდა გამხდარიყო სასულიერო პირი. უყვარდა თავის წარსულის გახსენება, ამბობდა:

„ერთხელ, როდესაც ამხანაგები ვმსჯელობდით ბერად აღკვეცაზე, მოულოდნელად ჩაგვიარა ლამაზმა ქალმა. მოვბრუნდი ამხანაგებს და ვუთხარი: ბერად არ შევდგები მე, აი, ის ქალი ცოლად უნდა შევირთო. ამხანაგებმა სიცილი დამაყარეს. მე კი გახარებული ვიყავი, რომ საკითხი გადავწყვიტე და მართლაც ერთ დღეს მუზეუმში მოსულ სტუმართა შორის აღმოჩნდა ის უცნობი ლამაზი. არ გასულა ორი კვირაც, ჩვენ ერთმანეთს გავუცვალეთ ნიშნობის ბეჭდები, ეს მოხდა 1892 წელს. ვითხოვე ცოლი და ხელდასხმული ვიქენი მღვდლად“.

როგორც კი მოვიდა კალისტრატე დიდუბის ეკლესიაში, ეკლესიის ჭაობიანი გარემო ამოაშრობინა და გაამშვენიერებინა ნარგავებით, შემდეგ აღადგინა ქაშვეთის

კალისტრატე და ძეთევან ნუცუბიძე

ეკლესია და მოახატვინა კიდეც ლადო გუდიაშვილს, პატრიარქად კურთხევის შემდეგ სიონს გადმოვიდა (1932–1952).

ზამთარი იყო. ბუხართან ვისხედით. კიდევ რაღას არ გაიხსენებდა, ისე გავერთეთ, შეშა რომ არ შემოგვლეოდა, ვერც გავიგებდით, რომ შუაღამეს მოეღწია. დამშვიდობებისას ვთქვი:

– რამდენი ვილაპარაკეთ და რა გამოვიდა აქედან?

– ჩვენ ხომ სულ კარგი და კარგი სურვილები გვქონდა და რა გამოვა ეს ღვთის ნებააო.

უკანასკნელად აკადემიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და შალვამ თქვა:

– აკადემიის კარი რაკი ერთი გაიღო, ვეღარ იხურება – ზოგს შესასვლელად წინაპრების ძვლების ფოსფორი უნათებს გზას, ზოგს თანამდებობით ირჩევენ, ზოგს ხელმძღვანელ პოსტიდან განთავისუფლებისას აკადემიკოსობით იმადლიერებენ, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ თვითონ უნდათ სწირონ, ჩვენ კი მხოლოდ პირჯვარი ვიწეროთ!

– მწირველი კი შენა ხარ, არა შალიკო? – სიცილით უთხრა კალისტრატემ. – მე სიამოვნებით დაგითმობდი სიონის კათედრას. სიონში უნდა სჭექდეს შენი ხმა, რომ კედლებმაც ბანი მოგცეს. სარწმუნოებას ძალას ცოცხალი ადამიანები ანიჭებენ. ამ ჩვენი მღვდლების შემყურეთ ეკლესიაში რა მოიზიდავთ?!

შალვა ამ სიტყვებმა დააფიქრა და გზაში სულ იმაზე ლაპარაკობდა, მართლაც რა იქნებოდა, თუ პატრიარქი არა, ეპისკოპოსი მაინც რომ ყოფილიყო! არ სჯობია გესმოდეს შენთვის „აქსიოზ“, ვიდრე სულ მოგძახოდნენ „დააქციოს“... მძიმე ჯვარს ატარებს კალისტრატე და არავინ არის, რომ მხარში ამოუდგეს.

კალისტრატე უკვე 86 წლისა იყო და მისი საღი მსჯელობა, ხალისი შალვას იმითაც აღაფრთოვანებდა, რომ აფიქრებინებდა, ეგების მის ასაკში, ე. ი. 25 წლის შემდეგ, მეც ასევე შესანიშნავად ვიყოო.

ნაზი ბალხამიშვილი

ავჭალელი ლომიშვილ-ბერიკაშვილები

იოანე ნათლისმცემლის ავჭალის დედათა მონასტერი

ჩვენი გაზეთის მკითხველს წინა ნომერში-დავპირდით, რომ დაწვრილებით ინფორმაციას იხილავდნენ ავჭალში არსებული პეტრე მოციქულის ჯაჭვის თაყვანისცემის სახელზე აშენებული ეკლესიის შესახებ, რომელიც საქართველოში ერთადერთია.

ავჭალა მდებარეობს თბილისის ჩრდილო–დასავლეთით. მისი დასავლეთი მხარე ესაზღვრება მცხეთას და სოფ. წიწამურს – მტკვრისა და არაგვის შესართავთან.

ავჭალა შექმნილია მტკვრის კალაპოტზე, რომელიც გაშლილი იყო ავჭალის მთების ძირამდის, ხოლო მარჯვენა სანაპირო ახლანდელი დიდი დიღმის მთებამდის.

დროთა განმავლობაში, (როგორც მდინარეს ახასიათებს), შეიცვალა კალაპოტი, ხოლო მდინარის წყლით განაყოფიერებულ ადგილზე წარმოიქმნა უდაბური ტყე, რომელსაც ხალხმა ავიჭალა უწოდა.

ავჭალის სახელი საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართულ საისტორიო წყაროებსა და სიგელ გურჯებში.

იოანე ბატონიშვილს ქართლ–კახეთის აღწერაში ავჭალის სახელწოდებით ორი დასახელებული პუნქტი აქვს შეტანილი. ქართლ–კახეთ–მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, რომელიც დამტკიცებულია მეფე ალექსანდრეს მიერ 1392 წლის 1 დეკემბერს, ვკითხულობთ სხვა მრავალ ეკლესია – სოფლებთან ერთად... „არაგუს გაღმა მონასტერი ჯუარისა, მამულითა, სოფელი ჯვარი, სოფელი ფოსი, სოფელი ჯაჭვი ეკუთვნის სვეტიცხოველს. „ავჭალა მისითა მზღვარისა“. 1447 წ. 26 დეკემბერს სვეტიცხოველს დაუმტკიცა მეფე გიორგიმ.

ყველა ეს სოფლები: ჯვარი, ფოსი და ჯაჭვი მტკვრის მარცხენა სანაპირო და არაგვის მარცხენა სანაპიროდან თბილისამდის, საგურამო, ერწო–თიანეთი, გლდანი, ნორიო – მარტყოფი, ლილომდე იწოდებოდნენ გარე კახეთად და შედიოდნენ კახეთის სამეფოს ფარგლებში.

1616 წელს შაჰ–აბასის ცნობილი ლაშქრობისას, რაც ითვალისწინებდა მთელი კახეთის მოსპობას, აოხრების შემდეგ →

← დარჩენილი მოსახლეობის მთლიანად სპარ-



მღვდელ-მონაზონი მამა რაფაელ ბერიტაშვილი

სეთში გადასახლებას, მოისპო სოფელი ჯვარი, ფოსი და ჯაჭვიც.

აღნიშნული სოფლების ადგილების და გვარების სახელწოდება შემოგვინახეს მეზობელი სოფლების მოსახლეობამ. ისინი გადარჩნენ გადასახლებას იმიტომ, რომ შედიოდნენ ქართლის სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ირანელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, 1616 წელს ლაშქრობის დროს შაჰ აბასმა მარტო კახეთიდან აყარა და ირანში გარეკა 130 000–ზე მეტი ქართველი მამაკაცი და ქალი. ნაწილი ლაშქარში ჩარიცხეს, ნაწილი მონებად გაყიდეს. ქართველი ქალები დაინაწილეს სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლებმა; ხოლო დანარჩენი ჩაასახლეს ირანის სხვადასხვა რაიონში. მან შექმნა ხელოვნური „ცოცხალი“ საფარები (მაგ. ხორასანში) იქ სადაც სოფელ „აბასაბადი“ მდებარეობს ხშირი იყო ურჩ ტომთა თავდასხმები, შექმნა ქართველთა კოლონია მუდმივად თურქთა თავდასხმების გამო. (ავტ. ზ. შარაშენიძე).

ადრე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიცვალებულის დამარხვის სხვადასხვანაირი წესი არსებობდა.

სოფლებს, რომლებიც შაჰაბასის ლაშქრობის შემდეგ მოისპო, ჰქონდათ თავიანთ მიცვალებულთათვის საგოდებელი. მიცვალებულს მიიტანდნენ და დატოვებდნენ ასეთ საგოდებელში სოფლის განაპირას და მეორე დღით ძვლების მეტი აღარაფერი არსებობდა. ლაშქრობისას საგოდებელიც დაანგრიეს.

ამირან ლომიშვილის გადმოცემით, სწორედ ასეთ საგოდებლის საძირკველზე აშენდა პეტრე მოციქულის ჯაჭვის თაყვანისცემის ეკლესია სოფ. ჯაჭვთან ახლოს, ვინაიდან მოსახლეობას სალოცავის დარჩენილი ფუძე ეგონათ. წარმოდგენაც არ ჰქონდათ თუ არსებობდა ასეთი საგოდებელი. უკვე 200 წელი იყო გასული ზემოაღნიშნული შემოსევებიდან.

საყდარი აშენდა 1815 წელს ბერი გაბრიელ ბერიტაშვილის ინიციატივით და მისივე სახსრებით. ბერი გაბრიელი გახლდათ ბარნაბე სოლომონის ძე ლომაშვილის შვილიშვილი, სოლომონი იყო გამაჰმადიანებული მესხი, ბრძოლებში გამობრძმედილი, ისაყ ფაშას კარზე ნამსახური და მისი ნდობით აღჭურვილი პირი. ჰყავდა გათხოვილი ქალიშვილი და სამი ვაჟი. უფროსი ვაჟი ბარნაბე იზრდებოდა ისაყ ფაშას კარზე და იყო ისაყ ფაშას ვაჟის ყვარყვარეს თანატოლი.

ისაყ ფაშას ქართლში ლაშქრობისას სულთანმა უბოძა ჯარების მთავარსარდლობა და ქართლის მმართველობა, ხოლო ახალციხის ფაშად დაამტკიცა ისაყ ფაშას შვილი ყვარყვარე უსუპ ფაშას სახელწოდებით.

ისაყ ფაშამ თან იახლა სოფლომონის ვაჟი ბარნაბე თბილისში ლაშქრობისას, ხოლო სოლომონი დატოვა თავის ვაჟთან ყვარყვარესთან ახალციხეში. ღალატის შემთხევაში ალბათ მასაც, გიორგი სააკაძის, პაატას ბედი ელოდა.

ვინაიდან თბილისში ერთად ერთი შესასვლელი მხოლოდ მტკვარი და მისი სანაპიროები იყო, ამიტომ ისაყ ფაშამ ირჩია, რომ დაბანაკებულიყო ავჭალაში, საიდანაც მეთვალყურეობას გაუწევდა მოწინააღმდეგეების ქალაქში შემოსვლას და გამოსვლას.

ამიტომ ლაშქარმა მისი ბრძანებით გაჩეხა აღნიშნული უდაბური ჭალა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ ააგეს საყარაულო თორმეტი ციხე–კოშკი „1724 წელს ზაფხულში ისაყ ფაშამ აღაშენა ავჭალის გალავანი და საყარაულო კოშკები – დიღმის ბოლოდან ატენის წყლამდის თორმეტი კოშკი, სადაც მტკვარში გასასვლელი ფონები იყო“. (ქართლის ცხოვრება).

ძირითადი ციხის უფროსობა ე. ი. ავჭალის კოშკისა, უბოძა ბარნაბე ლომაშვილს. მოგვიანებით მისი სიძე და ძმებიც ჩამოვიდნენ.

11 კოშკი, რომლებიც ფაშას ერთგული მუსულმანებით იყო დაკომპლექტებული, კოშკთან ერთად გაანადგურეს ქართველთა „გამანთავისუფლებელმა ლაშქარმა, ავჭალის კოშკს კი ხელიც არ ახლეს, ვინაიდან კოშკში მყოფ, ტყვედ ყოფილ ქართველებთან ერთად ძმებმა ლომაშვილებმა და მთელმა ციხიონმა გადაწყვიტეს ქართველების დასახმარებლად ბრძოლა. უკან დახეულ თურქეთის მებრძოლებს კოშკთან არ აკარგებდნენ და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. ღამღამობით თავს ესხმოდნენ თურქ ჯარისკაცებს და მოსვენებას არ აძლევდნენ, რის გამოც ერთადერთი კოშკი დანგრევას გადარჩა და დღესაც ისევე დგას როგორც სამი საუკუნის წინ, რაც ბარნაბე ლომაშვილის წინდახედულობასა და სიმამაცეზე მეტყველებს. (ა. ლომიშვილი).

ამ დროს კახეთის მეფე იყო თეიმურაზ მეორე. მეფეს წარუდგინეს ბარნაბე ლომაშვილი, როგორც ავჭალის ციხის უფროსი, ნებაყოფლობით ქართველთა მხარეს მებრძოლი თავისი ციხიონით, ლეკებთან ბრძოლის დიდი

ხატი - პეტრე მოციქულის ჯაჭვი

გამოცდილების მქონე და მოსურნე ქრისტიანულ საქართველოში ცხოვრებისა.

მეფე თეიმურაზ მეორემ ბარნაბეს დაუტოვა ციხის უფროსობა, ავჭალის მთელი ტერიტორია, მისცა უფლება ვინც უნდოდა დაესახლებინა და შეექმნა სოფელი ლეკებისა და სამშობლოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კოშკთან ახლოს აიშენა ბანიანი სახლი და იქ დასახლდა. შეირთო ქრისტიანი ქალი, მარიამ ბერიტაშვილი, რომელიც, თვითონ ბარნაბემ, სხვა ტყვეებთან ერთად ლეკებისაგან გაანთავისუფლა. შეეძინათ ორი ქალი და ერთი ვაჟი.

1742 წელს სახლთან ახლოს ააშენა ავჭალაში პირველი სალოცავი, იოანე ნათლისმცემლის სახელობისა, რადგან ახსოვდა, რომ მათ სოფელ რაბათში ჰქონდათ საგვარეულო სალოცავი, სადაც მისი წინაპრები ლოცულობდნენ. ეკლესია აკურთხა საქართველოს პატრიარქმა ნიკოლოზ ხერხეულიძემ 1742 წლის 7 ივლისს იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაულზე და ბარნაბე ლომაშვილიც მონათლა და ნათლობის შემდგომ დაიწერა ბარნაბე ლომიშვილად. ხოლო მისი ვაჟი სოლომონი, ვინაიდან მამამისზე ადრე იყო მონათლული, მას დედის გვარი სოლომონ ბერიტაშვილიჰქონდა ჩაწერილი.

სოლომონ ბერიტაშვილს მამისგან კარგად ჰქონდა შესწავლილი საბრძოლო ხელოვნება და რომ წამოიზარდა მამასთან ერთად ებრძოდა საქართველოს მტრებს.

1744 წელს ნადირშახმა სცნო და დაამტკიცა ქართლის მეფედ თეიმურაზ მეორე, რადგან ქართლის უკანასკნელი კანონიერი მეფის ვახტანგ მეექვსის ასული თამარი ჰყავდა თეიმურაზ მეორეს ცოლად, ხოლო კახეთის მეფედ დაამტკიცა ერეკლე მეორე.

9 ივლისს შევიდა თეიმურაზი თბილისში, როგორც ქართლის მეფე მიეგებნენ მოქალაქენი, სამღვდელოთა დასნი, გაუშალეს ფიანდაზი, შეიქმნა სროლა ზარბაზანთა ისეთი, რომ ყურთა სმენა აღარ იყო, სამი დღედაღამე იყო განუწყვეტლი მეჯლისი, ლხინი და სიხარული.

ბარნაბემ მიიღო წყალობის წიგნი, ორივე მეფის დამოწმებით 1744 წ.

1746 წ. შეჰყარა ჯარი ყოველგანით ერეკლე მეფემ ავჭალაში დალაშქრა არაგვის საერისთაო ოსები, შეშინდნენ ქსნის ოსები, მოიხარეს თავი და მისცეს ბეგარა (ქართლის ცხოვრება).

წყალობითა ღვთისითა, მეფემან თეიმურაზ ძემ ჩვენმან მეფემან ერეკლემ ესე წიგნი და სიგელი გიბოძეთ შენ ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ლო-

ხატი - პეტრე მოციქულის ჯაჭვის ეკლესია

მიშვილი ბარნაბეს და ძესა შენსა სოლომონ ბერიტაშვილს მუდმივ სამემკვიდეოთ ავჭალა თავისი ციხითა, მამულითა, სახნავითა, შესავალ–გასავლითა, მთითა, ბარითა, მუდამ ამისი მცდელი იყავი ჩვენს წინ სასიკვდილოთ თავი არ დაგიზოგავთ ორთავ ძმათ, ერთი ძმა და სიძე ჩვენ შეგვწირე. ვუბოძეთ აზატობის წიგნი თქვენს მიერ ტყვეობიდან დახსნილ და თქვენთან დასახლებულ ყველა გვარის კაცისათვის უკუნითი უკუნისამდე.

არა ერთი ბრძოლა გამოიარა ბარნაბემ მეფე ერეკლესთან ერთად, რაც არ დარჩენია მეფეს ყუ-

ავჭალის მიწის მფლობელობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ ბერიტაშვილი იგივე ლომიშვილია

რადღების გარეშე.

1755 წ. მარიამობისთვე ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერგულსა თავდადებით ნამსახურსა ბარნაბე ლომიშვილის შვილსა შენსა ლომიშვილ–ბერიტაშვილ სოლომონს და მომავალთა შენთა.

ერთგულად გვმსახურებდი მთასა თუ ბარში, თუშეთს, ფშავს, ქართლსა და კახეთში, ყველა ბრძოლაში მოუშორებლად გვახლდი, ქიზიყს რომ დაღესტნელი და სრულად ჭარელნი მოგვიხდნენ და მადლითა ღვთისათა ვძლიეთ და ვიდრე ყარაღაჯამდე სვრით მივყევით და კვალად ალაზნისა და რა ახლოს, ვგონებდით ერთმანეთში აღრევას, არხი დაგვიხვდა დიდად ღრმა და კაცისა და ცხენისაგან ძნელად გასასვლელი, მოხველ შენ ბარნაბე ლომიშვილი „მეფენო ღვთით გაძლიერებულნო, რისთვის არ უტევებთ მხედართ ჭურვილთა სვრად ქრისტეს მტერთა ზედანო“ და რა განიცადე სიღრმე და განსავლელად ძნელი გზა რუისა მის დიდისა, წახველ ფიცხლად მოიღე ბარი და იწყევ ფიცხელათ კვეთა მიწისა სიღმედ და განავაკენ გზა იგი მალიად გაუძელი ლაშქარსა, ვეწიენით და მოვსრენით ურიცხვნი ლეკნი მახვილთა და უმრავლესნი დაინთქნენ ღვთისითა კლდესა შინა და წყალთა და ამა ბრძოლათა შინა მხნედ იპოვე და ძლიერად და კვალად აზათხანისა დიდსა ომსა შინა თან გვახლდი და მხნედ იყავ და გაუყრელად ჩვენგან. ვძლიეთ ძალითა ჯვარისათა და მუნცა კარგად გაისარჯე აგრეთვე მჭადიჯვარს დაღისტნის ჯარსა და მუცალაზედ, რომ გაგვემარჯვა – კარგად იყავ აგრეთვე ატიკას, როდესაც ძმა ჩვენი იმერთა მეფე სოლომონ და ჩვენ რომ ვეწყვენით გულხადართა და შეწევნითა წმ. მოწამისა გიორგისათა ვდიეთ და ამოვწყვიტეთ, იქაც მხნედ იყავი. ამა ყოველთა მსახურებითა შენთათვის ჩვენცა უმეტეს მსახურებისა შენისა პატივ გეცით და ფრიადისა შენისათვის სანატრელი პატრონი მამა ჩვენი სანუფქოთ შენისა მსახურებისა წყალობა გიქენით მთელი ავჭალის მიწაწყლის მთისა და ბარის გადმოცემით თქვენს საკუთრებაში. ახლაც შენი ერთგულებისა და მოიქეც და ერთგულად გვემსახურე. არ მოგეშალოს ჩვენგან არც შემდგომთ ჩვენთა მეფესა და მეპატრონესაგან გქონდეს და გიბედნიეროს ჩვენს ერთგულებასა და სამსახურსა შინა“.

სოლომონ ბერიტაშვილი 1765 წელს დაოჯახდა და შეეძინა ოთხი ვაჟი: ვასილი, დავითი, ბესარიონი და იაკობი.

1795 წელს აღამახმად ხანის შემოსევისას თბილისის დაცვას შეეწირა სოლომონი 55 წლის ასაკში (ა. ლომიშვილის გადმოცა).

იაკობი იყო უმცროსი შვილი და დარჩა პაპისეულ ფუძეზე. ის ფანატიკურად იყო შეყვარებული გმირ ბარნაბე პაპაზე და უარყო ბერიტაშვილის გვარი და შთამომავლობასაც შთაუნერგა, რომ ისინი არა ბერიტაშვილები, არამედ ლომიშვილები არიან. ვინაიდან მიწის მფლობელობის საბუთები შედგენილი იყო ბერიტაშვილების გვარზე, ამიტომ ლომიშვილებიც და ბერიტაშვილებიც ოფიციალურად მოიხსენებოდნენ ბერიტაშვილებად. ასე რომ იაკობის შთამომალვობა ახლად აღებულ საბუთებში მოიხსენებიან ორივე გვარით, ხოლო პაპსორტიზაციის შემდეგ დარჩათ ლომიშვილის გვარი. ამის უტყუარი დასტურია მთელი ავჭალის მლობელობის გეგმა გაცემული 1910 წელს და ორი გეგმა მთელი ავჭალის მიწებისა, რომელიც გაცემულია 1915 წელს, რომელიც მოიცავს 1862 წლიდან 1902 წლამდე პერიოდს. ჩვენ წარმოგიდგენთ ერთ მათგანს რომელიც გაცემულია დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ბერიტაშვილების, იგივე ლომიშვილების სახელზე, დიდი უმეტესობა მიწებისა ეკუთვნით ბერიტაშვილებს და იქვე განმარტებულია, რომ ბერიტაშვილები იგივე ლომიშვილები არიან და დამოწმებულია რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზის ბეჭდით.

რაც მიწის კარგი სავარგულები იყო ბერიტაშვილებს ეკავათ. როგორც ავღნიშნეთ სოლომონს ოთხი ვაჟი ჰყავდა, რომელთაც მთელი ავჭალა დაუნაწილა. ერთმა შვილმა ბესარიონმა თავისი მამულები სიძეებს სუხიშვილებსა და შამანაურებს მისცა, მეორემ დავითმა, შემდგომში ბერმა გაბრიელმა, თავისი კუთვნილი მამული თავად გარაყანიძის ძმებს ლურასაბსა და ალექსანდრეს მიჰყიდა და აღებული ფული პეტრე მოციქულის ჯაჭვის ეკლესიის მშენებლობას მოახმარა, სადაც იღვაწა და 1830 წელს გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული .

დღეისათვის ღვთის მადლითა და შეწევნით ეკლესია კვლავ მოქმედია და ბერიტაშვილების შთამომავალი მღვდელ–მონაზონი მამა რაფაელი აგრძელებს სულიერ მოღვაწეობას.

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ჩვენი რეკვიზიტები

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა GE51Bღ0000010385861378

ჩვენი რეკვიზიტებია:

საქართველოს საგვარეულოთა
კავშირი ,,გვარი და გვარიშვილობა“
ს/კ 202230264
ბანკი: ,,ვი-თი-ბი“ ბანკი
ა/ა GE84Vთ6600000004513608

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონი: 790770871

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871